გსურს გახდე პირველი არხის **გუნდის წევრი?**

საზოგადოებრივი მაუწყებელი აცხადებს კონკურსს **კორესპონდენტის** თანამდებობაზე ახალი და მიმდინარე ამბების საერთაშორისო მოვლენების მიმართულების ჯგუფში.

საზოგადოებრივი მაუწყებელი პოზიციონირებს, როგორც მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაცია. ჩვენი მიზნები და ამოცანები მიმართულია იმისკენ, რომ თითოეულ ადამიანს, საზოგადოებას ვემსახუროთ სანდო და გადამოწმებული ინფორმაციის მიწოდებით.

ჩვენ ვეძებთ გუნდის წევრს, რომელიც მზად არის ჟურნალისტური მაღალი სტანდარტებითა და საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო პრინციპების დაცვით მოამზადოს და გააშუქოს საერთაშორისო ახალი ამბები საზოგადოებისათვის.

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

სამუშაოს ლოკაცია: თბილისი, კოსტავას ქუჩა #68

სამუშაო ფუნქციები:

- საერთაშორისო უახლესი ინფორმაციის მოძიება და დამუშავება, თარგმნა ინგლისურიდან ქართულ ენაზე ან/და პირიქით;
- ინფორმაციის დამუშავება ვებ-გვერდისათვის;
- სიუჟეტების მომზადება მაუწყებლის სტანდარტების შესაბამისად;
- პირდაპირ ეთერში ინფორმაციის გაშუქება მაუწყებლის სტანდარტების შესაბამისად;
- საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ამოცანების შესრულება.

პიროვნული და პროფესიული კომპეტენციები

- ვერბალური და წერითი კომუნიკაცია;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- დადგენილ ვადებში მუშაობის უნარი;
- სამუშაო დროის მართვის უნარი;
- ინფორმაციის ანალიზისა და დამუშავების უნარი;
- დინამიურ გარემოში სწრაფად ადაპტირებისა და სამუშაო პროცესის მართვის უნარი.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება სასურველია ჟურნალისტიკის მიმართულებით;
- სავალდებულოა ქართული და ინგლისური ენის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა;
- უპირატესობად ჩაითვლება სხვა ენების ცოდნა;
- სამუშაო გამოცდილება სავალდებულოა არანაკლებ 1 წლისა, ჟურნალისტიკის ან მედიასთან ურთიერთობის მიმართულებით;
- პრიორიტეტი მიენიჭება ჟურნალისტიკის მიმართულებით სამუშაო გამოცდილების მქონე კანდიდატს;
- სავალდებულოა საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო პრინციპების ცოდნა.

კონკურსის ეტაპები:

- რეზიუმეების შერჩევა;
- გასაუბრება;
- დავალების შესრულება.

თუ გაქვთ სურვილი შემოუერთდეთ ჩვენს გუნდს, გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი რეზიუმე (CV) **2021 წლის 10 აპრილის** ჩათვლით ელექტრონულ მისამართზე: **vacancy@gpb.ge.**

გთხოვთ, სათაურის ველში (subject) მიუთითოთ „კორესპონდენტი“.

გისურვებთ წარმატებას!